საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1977 2020 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

1. საქართველოს მოსახლეობისთვის გრიპის ვაქცინის შესყიდვის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიეცეს უფლება:

ა) განახორციელოს 100 000 დოზა გრიპის ვაქცინის შესყიდვა;

ბ) შესყიდვა განახორციელოს იურიდიული პირის – Sanofi Pasteur მეშვეობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1

მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამისათვის „იმუნიზაცია“ (პროგრამული კოდი - 27 03 02 02) გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოიყოს 600 000 ევროს ეკვივალენტი ლარში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**